N 91 2016 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-80 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„2^1. ამ დადგენილების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლებსაც აქვთ ამავე დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები, მშენებლობა წარმოებს ამ დადგენილების 66-ე მუხლით დადგენილი წესით.

2^2. ამ დადგენილების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იმ შენობა-ნაგებობების ასაშენებლად, რომლებსაც აქვთ ამავე დადგენილების 67-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ამ დადგენილების 68-ე მუხლით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**